

თჯახის  
მოძიება  
(ზრდასრულთათვის)

---

ფორმა



ტექსტი მომზადებულია 2025 წელს

არც ევროკავშირის თავშესაფრის სააგენტო (EUAA) და არც EUAA-ს სახელით მოქმედი სხვა პირი არ არის პასუხისმგებელი, თუ როგორ იქნება გამოყენებული ამ პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია.

ლუქსემბურგი: ევროკავშირის საგამომცემლო სახლი, 2025 წელი

PDF ISBN 978-92-9410-790-9

doi:10.2847/9517251

BZ-01-25-034-EN-N

© ევროკავშირის თავშესაფრის სააგენტო (EUAA), 2025 წელი

რეპროდუქცია ნებადართულია იმ შემთხვევაში, თუ მითითებული იქნება წყარო.



<p><b>EU+ ქვეყნის სახელი</b></p>	
<p><b>ეროვნული ორგანოს მისამართი</b></p>	
<p><b>EU+ ქვეყნისთვის სპეციფიკური ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ და სად უნდა წარადგინოთ ეს ფორმა</b></p>	<p><i>ეს არის ჩანაცვლებითი ველი EU+ ქვეყნებისთვის, სადაც უნდა ჩაიწეროს ამ ფორმის წარდგენასთან დაკავშირებული შესაბამისი წესები. როგორ უნდა წარადგინოთ ეს ფორმა? რომელ მისამართზე? როდის?</i></p>

## ოჯახის მოძიების ფორმა (ზრდასრულთათვის)

### რატომ გადმოგცა ეს ფორმა?

ამ ქვეყნის ხელისუფლებამ გადმოგცა ეს ფორმა <sup>(1)</sup>, რადგან თქვენ მოითხოვეთ საერთაშორისო დაცვა და განაცხადეთ, რომ გყავთ ოჯახის წევრი ევროკავშირის წევრ სახელმწიფოში ან ასოცირებულ ქვეყანაში (რომლებიც მოხსენიებულია, როგორც EU+ ქვეყნები).

ევროკავშირის წევრი ქვეყნებია ბელგია, ბულგარეთი, ჩეხეთი, დანია, გერმანია, ესტონეთი, ირლანდია, საბერძნეთი, ესპანეთი, საფრანგეთი, ხორვატია, იტალია, კვიპროსი, ლატვია, ლიეტუვა, ლუქსემბურგი, უნგრეთი, მალტა, ნიდერლანდები, ავსტრია, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, სლოვენია, სლოვაკეთი, ფინეთი და შვედეთი. ოთხი ასოცირებული ქვეყანაა ისლანდია, ლიხტენშტაინი, ნორვეგია და შვეიცარია.

ამ ფორმაში მოწოდებული ინფორმაცია დაეხმარება ამ ქვეყნის ხელისუფლებას თქვენი ოჯახის წევრების მოძებნაში, თქვენი საქმის პრიორიტეტულობის დადგენასა და იმ EU+ ქვეყნის პოვნაში, რომელმაც უნდა განიხილოს თქვენი განაცხადი. რადგან თქვენი ოჯახის წევრები სხვა EU+ ქვეყანაში გყავთ, თქვენი განაცხადის განხილვაზე შესაძლოა პასუხისმგებელი იყოს ის ქვეყანა, სადაც თქვენი ოჯახის წევრი იმყოფება.

**მნიშვნელოვანი ინფორმაცია.** თუ ამ ფორმის შევსებასთან დაკავშირებით დახმარება გჭირდებათ, აცნობეთ ხელისუფლებას.

### რატომ მომთხოვეს ამ ფორმის შევსება?

ამ ქვეყნის ხელისუფლებამ უნდა იცოდეს, გყავთ თუ არა თქვენი ოჯახის წევრები რომელიმე EU+ ქვეყანაში. თუ გყავთ, შესაძლოა თქვენი განაცხადის დამუშავებაზე პასუხისმგებელი იყოს ის ქვეყანა, სადაც ისინი ცხოვრობენ.

ამ ქვეყნის ხელისუფლებას ასევე სურს დაგეხმაროთ თქვენი ოჯახის წევრებთან გაერთიანებაში EU+ ქვეყნებში, თუ გსურთ მათთან ყოფნა. თუ გსურთ თქვენი ოჯახის წევრთან გაერთიანება, შეგვატყობინეთ და ჩვენ განვიხილავთ, შესაძლებელია თუ არა ეს და ვცდებით მის განხორციელებას. თუ არ გსურთ გაერთიანება, რაც შეიძლება მალე შეგვატყობინეთ.

### ვისთან შემიძლია გაერთიანება?

შეგიძლიათ გაერთიანდეთ ოჯახის წევრთან, რომელიც უკვე ცხოვრობს EU+ ქვეყანაში. ესენია:

- თქვენი ცოლი ან ქმარი – ეს პირი მოხსენიებულია, როგორც მეუღლე;

<sup>(1)</sup> PDF: BZ-01-25-006-EN-N და ბეჭდური ვერსია BZ-01-25-006-EN-C.



- თქვენი პარტნიორი ქორწინების რეგისტრაციის გარეშე, რომელთანაც გაქვთ სტაბილური ურთიერთობა <sup>(2)</sup>;
- თქვენი 18 წლამდე ასაკის შვილი <sup>(3)</sup>.

ასევე შეგიძლიათ გაერთიანდეთ პირთან, რომელსაც თქვენი მზრუნველობა სჭირდება ან პირთან, რომელზეც ხართ დამოკიდებული შემდეგი მიზეზების გამო:

- ორსულობა;
- ახალშობილის ყოლა;
- სერიოზული ფსიქიკური დაავადება;
- სერიოზული ფიზიკური დაავადება;
- მძიმე ფორმის უნარშეზღუდულობა;
- მძიმე ფსიქოლოგიური ტრავმა;
- ხანდაზმული ასაკი.

ეს პირი შეიძლება იყოს:

- თქვენი შვილი (არასრულწლოვანი ან ზრდასრული);
- თქვენი და ან ძმა;
- თქვენი მშობელი.

### თუ თქვენი ოჯახის წევრი EU+ ქვეყანაში ცხოვრობს, თქვენ გაქვთ შემდეგი უფლებები.

- თქვენ შეგიძლიათ მოითხოვოთ ინფორმაცია იმ პირებისა და ორგანიზაციებისგან, რომელთაც შეუძლიათ დაგეხმარონ ამ ფორმის შევსებაში.
- შეგიძლიათ მოითხოვოთ ინფორმაცია ეროვნული, საერთაშორისო და სხვა შესაბამისი ორგანიზაციების შესახებ, რომელთაც შეუძლიათ თქვენი ოჯახის წევრების იდენტიფიცირებასა და მოძიებაში დახმარება.
- შესაძლებელია გასაუბრების ორგანიზება იმ EU+ ქვეყნის დასადგენად, რომელიც პასუხისმგებელია თქვენი საერთაშორისო დაცვის განაცხადის განხილვაზე, თუ არ არსებობს გასაუბრების გამოტოვების საფუძველი.
- თქვენ შეგიძლიათ წარმოადგინოთ ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც დაგეხმარებათ ოჯახის წევრების არსებობის დადასტურებაში ზეპირად ან დოკუმენტების მეშვეობით.
- შეგიძლიათ მოითხოვოთ დამატებითი ინფორმაცია თქვენს საქმესთან დაკავშირებით.

## რა უნდა მივუთითო ამ ფორმაში?

**იმისათვის, რომ ამ ქვეყნის ხელისუფლებას გაუმარტივდეს თქვენი დახმარება ოჯახის წევრებთან გაერთიანებაში, თქვენ უნდა გაგვიზიაროთ მათ შესახებ რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია.** ეს მოიცავს საბაზისო ინფორმაციას თქვენი ოჯახის წევრის ან იმ პირის შესახებ, რომელთანაც გაქვთ დამოკიდებულებითი ურთიერთობა EU+ ქვეყანაში, როგორცაა:

- მისი პირადი მონაცემები;
- მისი ამჟამინდელი საცხოვრებელი ადგილი;
- მისი საკონტაქტო ინფორმაცია;
- ინფორმაცია მისი სამართლებრივი სტატუსის შესახებ ამ ქვეყანაში (თუ მას აქვს თავმჯდომარის მაძიებლის სტატუსი, ბინადრობის ნებართვა ან არის ამ ქვეყნის მოქალაქე წინა საერთაშორისო დაცვის სტატუსის საფუძველზე);
- ნებისმიერი დოკუმენტი ან მტკიცებულება, რომელიც ადასტურებს ნათესაურ კავშირს.

<sup>(2)</sup> თუ EU+ ქვეყნის კანონმდებლობა ან წესები დაუქორწინებელ წყვილებს ანიჭებს იმავე სტატუსს, რომელსაც დაქორწინებულ წყვილებს, მესამე ქვეყნის მოქალაქეებთან დაკავშირებული კანონმდებლობის შესაბამისად.

<sup>(3)</sup> ეს ეხება თქვენს ბიოლოგიურ ან ნაშვილებ ბავშვს.



## რატომ არის ეს ინფორმაცია მნიშვნელოვანი?

რაც უფრო მეტ ინფორმაციას მოგვაწვდით, მით უფრო ადვილი იქნება ამ ქვეყნის ხელისუფლებისთვის დაუკავშირდნენ იმ ქვეყნის ხელისუფლებას, სადაც თქვენი ოჯახის წევრი იმყოფება, დაადასტუროს თქვენი ურთიერთობა და რაც შეიძლება მალე მოხდეს მასთან გაერთიანება.

ამ პირის ურთიერთობისა და ადგილსამყოფლის შესახებ მეტი ინფორმაციის მისაღებად, შესაძლოა მიგიწვიონ გასაუბრებაზე ან დაგისვან დამატებითი კითხვები.

არ იდარდოთ, თუ სრული ინფორმაცია არ გაქვთ. შეიყვანეთ რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია და ამ ქვეყნის ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს პროცესის დასაწყებად. თუ რაიმე დოკუმენტები გაქვთ, რაც შეიძლება მალე წარუდგინეთ ისინი ამ ქვეყნის ხელისუფლებას.

## როგორ შევავსო ეს ფორმა

**ეტაპი 1.** შეავსეთ ფორმის 1-ელი ნაწილი. აქ უნდა შეიყვანოთ თქვენი პერსონალური ინფორმაცია.

**ეტაპი 2.** შეავსეთ ფორმის ის ნაწილი(ები), რომელიც ეხება თქვენი ოჯახის წევრ(ებ)ს, ოჯახის თითოეული წევრისთვის.

- მეუღლე ან პარტნიორი ქორწინების რეგისტრაციის გარეშე (ნაწილი 2).
- არასრულწლოვანი შვილი (ნაწილი 3).  
თუ EU+ ქვეყნებში რამდენიმე შვილი გყავთ, ფორმის ამ ნაწილში შეიყვანეთ ინფორმაცია თითოეული შვილისთვის.
- დამოკიდებული პირი (ნაწილი 4).  
შეავსეთ ეს ნაწილი, თუ:
  - თქვენი (ზრდასრული) შვილი, და, ძმა ან მშობელი დამოკიდებულია თქვენს მზრუნველობაზე, რადგან ისინი დაუცველ მდგომარეობაში არიან;
  - თქვენ დაუცველ მდგომარეობაში ხართ და დამოკიდებული ხართ თქვენი (ზრდასრული) შვილის, დის, ძმის ან მშობლის მზრუნველობაზე.

**ეტაპი 3.** დახაზეთ თქვენი გენეალოგიური ხე (ნაწილი 5) ოჯახის ყველა წევრის მითითებით. ეს შეიძლება სასარგებლო იყოს ოჯახის მოძიების სამომავლო ძალისხმევისთვის ან იმის გასაგებად, არსებობენ თუ არა სხვა პირები, ვისთან გაერთიანების დაწყებაცაა შესაძლებელი.

## ვის შეუძლია დაეხმაროს ფორმის შევსებაში?

თუ ამ ფორმის შევსებასთან დაკავშირებით რაიმე სახის მხარდაჭერა გჭირდებათ, მათ შორის იურიდიული დახმარება, შეგიძლიათ მოითხოვოთ ის. თუ რამეს ვერ გაიგებთ, შეგიძლიათ დახმარებისთვის მიმართოთ ამ ქვეყნის ხელისუფლებას. იურიდიული მრჩევლების ჯგუფის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მოძიება შეგიძლიათ საინფორმაციო ბროშურაში პასუხისმგებლობის განსაზღვრის პროცედურის შესახებ. ფორმის შევსებისას ასევე შეგიძლიათ მოითხოვოთ ლინგვისტის დახმარება.

*EU+ ქვეყნისთვის სპეციფიკური ინფორმაცია იმ პირებისა და ორგანიზაციების შესახებ, რომლებიც დახმარებას უწევენ შაბლონის შევსებასა და იურიდიულ კონსულტაციაში.*

## როგორ შემიძლია ჩემი ოჯახის წევრთან გაერთიანება?

- პირველ რიგში, ამ ქვეყნის ხელისუფლება განიხილავს თქვენ მიერ მოწოდებულ ინფორმაციას. შესაძლოა დამატებით გასაუბრებაზე მიგიწვიონ.
- თუ შესაძლებელია, ამ ქვეყნის ხელისუფლება გაუგზავნის მოთხოვნას იმ EU+ ქვეყანას, სადაც თქვენი ოჯახის წევრი ცხოვრობს.



**მნიშვნელოვანი ინფორმაცია.** თქვენც და თქვენი ოჯახის წევრიც უნდა დაეთანხმეთ გაერთიანებას. თუ რომელიმე თქვენგანი უარს იტყვის თანხმობაზე, ამ ქვეყნის ხელისუფლება საქმეს აღარ გააგრძელებს. თუ თანახმა ხართ, მოგეთხოვებათ წარმოადგინოთ თქვენი ოფიციალური წერილობითი თანხმობა გაერთიანებაზე. თქვენი თანხმობის წარდგენა უნდა მოხდეს სხვა ფორმით.

- ქვეყანა, სადაც თქვენი ოჯახის წევრი ცხოვრობს, განიხილავს მოთხოვნას და შეამოწმებს დოკუმენტებს.
- თანხმობის შემთხვევაში, ამ ქვეყნის ხელისუფლება გადაგიყვანთ ამ ქვეყანაში, რათა თქვენი ოჯახის წევრთან გაერთიანდეთ.

ამ ქვეყნის ხელისუფლება თქვენი ნების საწინააღმდეგოდ არ გაგაერთიანებთ სხვა პირთან. თანხმობა ნიშნავს, რომ ორივე თანახმა ხართ, რომ თქვენი საერთაშორისო დაცვის განაცხადი განიხილებოდეს იმ ქვეყანაში, სადაც თქვენი ოჯახის წევრი ან დამოკიდებული პირი ცხოვრობს. თუ თქვენ ან თქვენი ოჯახის წევრი თანხმობას არ გასცემთ, ამ ქვეყნის ხელისუფლება გაერთიანების პროცედურას არ დაიწყებს. თქვენ შეგიძლიათ გააუქმოთ თქვენი თანხმობა ნებისმიერ დროს, სანამ გადაყვანის შესახებ გადაწყვეტილება იქნება მიღებული.

ორივე ქვეყანაში ოჯახის გაერთიანების საქმეები პრიორიტეტულად განიხილება. ეს ნიშნავს, რომ თუ თქვენ შემთხვევაში ოჯახის გაერთიანების დაწყება შესაძლებელია, ხელისუფლება მას რაც შეიძლება მალე დაამუშავებს.

## რა უნდა იცოდეთ

- თქვენ შეგიძლიათ შეცვალოთ აზრი და გააუქმოთ თქვენი თანხმობა ნებისმიერ დროს, სანამ გადაყვანის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება.
- ოჯახის წევრებთან გაერთიანებისთვის არავისთვის თანხის გადახდა არ გჭირდებათ – ხარჯებს ხელისუფლება დაფარავს.
- ოჯახის გაერთიანების საქმეები პრიორიტეტულად განიხილება, ამიტომ ხელისუფლება თქვენს საქმეს რაც შეიძლება სწრაფად დაამუშავებს.

## რას ნიშნავს გაერთიანება

- თქვენი საერთაშორისო დაცვის განაცხადი განიხილება იმ ქვეყანაში, სადაც თქვენი ოჯახის წევრი კანონიერად ცხოვრობს (\*).

გაერთიანება არ ნიშნავს, რომ თქვენ მიიღებთ ბინადრობის ნებართვას ამ ქვეყანაში.

## არ ვიცი სად არის ჩემი ოჯახის წევრი. შეგიძლიათ დაგეხმაროთ?

თუ იცით, რომ თქვენი ოჯახის წევრი EU+ ქვეყანაში იმყოფება, თუმცა არ იცით კონკრეტული ადგილმდებარეობა, შეგიძლიათ მიმართოთ ოჯახის მოძიების ორგანიზაციებს, რომლებიც დაგეხმარებიან თქვენი ოჯახის წევრის პოვნაში. თუ მსგავსი მხარდაჭერა გჭირდებათ, აცნობეთ ამის შესახებ ამ ქვეყნის ხელისუფლებას.

ოჯახის მოძიების ორგანიზაციების შესახებ EU+ ქვეყნისთვის სპეციფიკური ინფორმაცია.

(\*). კანონიერი ცხოვრება ნიშნავს, რომ ისინი აკმაყოფილებენ ქვეყანაში შესვლის, ყოფნის ან ბინადრობის პირობებს.



## როგორ დამუშავდება ჩემ მიერ მოწოდებული ინფორმაცია?

თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაცია დამუშავდება კონფიდენციალურობის დაცვით. ის არასდროს გაზიარდება ქვეყანასთან, რომელიც არ არის EU+ ქვეყნების სიაში (იხილეთ ამ ფორმის 1-ელი გვერდი), ასევე თქვენი ან თქვენი ოჯახის წევრის წარმოშობის ან ყოფილ მუდმივ საცხოვრებელ ქვეყანასთან. ინფორმაცია უსაფრთხო გზით გადაეცემა EU+ ქვეყანას, სადაც თქვენი ოჯახის წევრი იმყოფება, რათა ამ ქვეყნის ხელისუფლებამ შეძლოს იმის დადგენა, აკმაყოფილებს თუ არა თქვენი ურთიერთობა ოჯახის გაერთიანების კრიტერიუმებს. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა თქვენი ოჯახის წევრს დაუკავშირდეს ხელისუფლების ან ორგანიზაციების წარმომადგენელი დამატებითი კითხვებით.



<b>ნაწილი 1. განმცხადებლის პერსონალური ინფორმაცია</b>	
საქმის ნომერი:	
სახელი	
გვარი	
ასაკი	
სქესი	
დაბადების თარიღი (დღე/თვე/წელი)	
დაბადების ადგილი	
წარმოშობის ქვეყნიდან გამგზავრების თარიღი	
ეროვნება/ები	
მისამართი/საცხოვრებელი	
საკონტაქტო ინფორმაცია (ელექტრონული ფოსტის მისამართი, სოციალური მედიის ანგარიში, ტელეფონის ნომერი)	
<b>ვადასტურებ, რომ მყავს ოჯახის წევრი, რომელიც ცხოვრობს EU+ ქვეყანაში.</b>	
ჩემი ოჯახის წევრია (შესაძლებელია რამდენიმე ვარიანტის არჩევა)	ჩემი მეუღლე ან პარტნიორი ქორწინების რეგისტრაციის გარეშე (ნაწილი 2) არასრულწლოვანი შვილი (ნაწილი 3) პირი, რომელიც ჩემს მხარდაჭერაზეა დამოკიდებული ან რომლის მხარდაჭერაზეც ვარ დამოკიდებული (ნაწილი 4)
სხვა რელევანტური ინფორმაცია	
<b>თარიღი და განმცხადებლის ხელმოწერა</b>	



## ნაწილი 2. მეუღლის ან ქორწინების რეგისტრაციის გარეშე კარტნიორის პერსონალური ინფორმაცია

სახელი	
გვარი	
სხვა გამოყენებული სახელები	
ასაკი	
სქესი	
დაბადების თარიღი (დღე/თვე/წელი)	
დაბადების ადგილი	
ქორწინების ადგილი ან ურთიერთობის ფორმირების ადგილი	
ქორწინების ან ურთიერთობის დაწყების თარიღი	
ქორწინების ან პარტნიორობის ტიპი (შესაძლებელია რამდენიმე ვარიანტის არჩევა)	რელიგიური ცერემონია სამოქალაქო რეგისტრაცია რეგისტრირებული სამოქალაქო პარტნიორობა სხვა (დააკონკრეტეთ):
მიმდინარე ან ბოლო ცნობილი ადგილმდებარეობა EU+ ქვეყნებში (ქვეყანა, ქალაქი)	
პირის რეზიდენტობის სტატუსი EU+ ქვეყანაში	საერთაშორისო დაცვის განცხადების წარმდგენი საერთაშორისო დაცვის ბენეფიციარი ხანგრძლივი ბინადრობის უფლების მქონე რეზიდენტი მოქალაქე უცნობია
წარმოშობის ქვეყნიდან გამგზავრების თარიღი	
ეროვნება/ები	
პირადი ნომერი / საქმის ნომერი (თუ EU+ ქვეყანაში საიდენტიფიკაციო ნომერი ხელმისაწვდომია)	
მისამართი/საცხოვრებელი	
საკონტაქტო ინფორმაცია (ელექტრონული ფოსტის მისამართი, სოციალური მედიის ანგარიში, ტელეფონის ნომერი)	

### გაერთიანების სურვილი

გსურთ ამ პირთან გაერთიანება?  
 დიახ, მსურს გაერთიანება.  
**ამ შემთხვევაში თქვენ და თქვენი ოჯახის წევრს მოგეთხოვებათ წერილობითი ფორმალური თანხმობის გაცემა. ფორმალური თანხმობა სხვა ფორმით იქნება მოთხოვნილი.**  
 არა, არ მსურს გაერთიანება.  
 თუ არ გსურთ გაერთიანება, შეგიძლიათ განმარტოთ მიზეზი. ეს ინფორმაცია კონფიდენციალურად დამუშავდება.



<p><b>შესაბამისი ინფორმაცია პოტენციური მოწყვლადობების ან ჰუმანიტარული მიზეზების შესახებ</b></p> <p>აქ შეგიძლიათ მიუთითოთ ნებისმიერი შესაბამისი ინფორმაცია თქვენი ოჯახის წევრის შესახებ, რომლის ცოდნაც მნიშვნელოვანია ხელისუფლებისთვის (ნებისმიერი მოწყვლადობის მიზეზი, განსაკუთრებული საჭიროებები ან ჰუმანიტარული მიზეზები).</p>
<p><b>როდის და სად გქონდათ ბოლო კონტაქტი ამ პირთან?</b></p>
<p><b>არსებობს თუ არა სხვა პირი, რომელმაც შეიძლება იცოდეს თქვენი ოჯახის წევრის ადგილსამყოფელის შესახებ? თუ არსებობს, გთხოვთ მიუთითოთ მისი საკონტაქტო ინფორმაცია. დაუკავშირდით თუ არა ამ პირს?</b></p>
<p><b>დაუკავშირდით თუ არა რომელიმე ორგანიზაციას ამ პირის მოსაძებნად? თუ დაუკავშირდით, გთხოვთ მოგვაწოდოთ დეტალური ინფორმაცია (ორგანიზაციის დასახელება, კვალის მოძიების სტატუსი/შედეგი).</b></p>
<p><b>აღწერეთ თქვენს ხელთარსებული დოკუმენტები/მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს ნათესაურ კავშირს. მაგალითად, ქორწინების მოწმობა, დაბადების მოწმობა, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლი, ოჯახის წევრის ფოტოები და სხვა. თქვენ მოგეთხოვებათ ამ დოკუმენტების ან მტკიცებულებების წარდგენა.</b></p>
<p><b>სხვა რელევანტური ინფორმაცია</b></p>



### ნაწილი 3. არასრულწლოვანი შვილის პერსონალური ინფორმაცია

თუ EU+ ქვეყნებში რამდენიმე შვილი გყავთ, თითოეული მათგანისთვის ახალი ველის დასამატებლად დააჭირეთ ღილაკს „განყოფილების დუბლირება“.

სახელი	
გვარი	
სხვა გამოყენებული სახელები	
ასაკი	
სქესი	
დაბადების თარიღი (დღე/თვე/წელი)	
დაბადების ადგილი	
მიმდინარე ან ბოლო ცნობილი ადგილმდებარეობა EU+ ქვეყნებში (ქვეყანა, ქალაქი)	
პირის რეზიდენტობის სტატუსი EU+ ქვეყანაში	საერთაშორისო დაცვის განცხადების წარმდგენი საერთაშორისო დაცვის ბენეფიციარი ხანგრძლივი ბინადრობის უფლების მქონე რეზიდენტი მოქალაქე უცნობია
წარმოშობის ქვეყნიდან გამგზავრების თარიღი	
ეროვნება/ები	
პირადი ნომერი / საქმის ნომერი (თუ EU+ ქვეყანაში საიდენტიფიკაციო ნომერი ხელმისაწვდომია)	
მისამართი/საცხოვრებელი	
საკონტაქტო ინფორმაცია (ელექტრონული ფოსტის მისამართი, სოციალური მედიის ანგარიში, ტელეფონის ნომერი)	
<b>მეურვის საკონტაქტო ინფორმაცია, თუ ხელმისაწვდომია</b>	
სახელი	
გვარი	
ტელეფონის ნომერი	
ელექტრონული ფოსტის მისამართი	



<p><b>გაერთიანების სურვილი</b></p> <p>გსურთ ამ პირთან გაერთიანება?                  დიახ, მსურს გაერთიანება.  <b>ამ შემთხვევაში თქვენ და თქვენი ოჯახის წევრს მოგეთხოვებათ წერილობითი ფორმალური თანხმობის გაცემა. ფორმალური თანხმობა სხვა ფორმით იქნება მოთხოვნილი.</b>                  არა, არ მსურს გაერთიანება.                  თუ არ გსურთ გაერთიანება, შეგიძლიათ განმარტოთ მიზეზი. ეს ინფორმაცია კონფიდენციალურად დამუშავდება.</p>
<p><b>შესაბამისი ინფორმაცია პოტენციური მოწყვლადობების ან ჰუმანიტარული მიზეზების შესახებ</b></p> <p>აქ შეგიძლიათ მიუთითოთ ნებისმიერი შესაბამისი ინფორმაცია თქვენი ოჯახის წევრის შესახებ, რომლის ცოდნაც მნიშვნელოვანია ხელისუფლებისთვის (ნებისმიერი მოწყვლადობის მიზეზი, განსაკუთრებული საჭიროებები ან ჰუმანიტარული მიზეზები).</p>
<p><b>როდის და სად გქონდათ ბოლო კონტაქტი ამ პირთან?</b></p>
<p><b>არსებობს თუ არა სხვა პირი, რომელმაც შეიძლება იცოდეს თქვენი ოჯახის წევრის ადგილსამყოფელის შესახებ? თუ არსებობს, გთხოვთ მიუთითოთ მისი საკონტაქტო ინფორმაცია. დაუკავშირდით თუ არა ამ პირს?</b></p>
<p><b>დაუკავშირდით თუ არა რომელიმე ორგანიზაციას ამ პირის მოსაძებნად? თუ დაუკავშირდით, გთხოვთ მოგვაწოდოთ დეტალური ინფორმაცია (ორგანიზაციის დასახელება, კვალის მოძიების სტატუსი/შედეგი).</b></p>
<p><b>აღწერეთ თქვენს ხელთარსებული დოკუმენტები/მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს ნათესაურ კავშირს. მაგალითად, ქორწინების მოწმობა, დაბადების მოწმობა, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლი, ოჯახის წევრის ფოტოები და სხვა. თქვენ მოგეთხოვებათ ამ დოკუმენტების ან მტკიცებულებების წარდგენა.</b></p>
<p><b>სხვა რელევანტური ინფორმაცია</b></p>



## ნაწილი 4. დამოკიდებული პირის პერსონალური ინფორმაცია

თუ გყავთ ერთზე მეტი შვილი, და, ძმა ან მშობელი, რომელზეც ხართ დამოკიდებული ან რომელიც თქვენზეა დამოკიდებული, თითოეული ინდივიდისთვის ახალი განყოფილების შესაქმნელად დააჭირეთ დილაკს „განყოფილების დუბლირება“.

ურთიერთობა ამ პირთან	შვილი (ზრდასრული) და ან ძმა მშობელი
<b>გთხოვთ აირჩიოთ:</b> ეს პირი ჩემს მხარდაჭერაზეა დამოკიდებული. მე ამ პირის მხარდაჭერაზე ვარ დამოკიდებული.	
სახელი	
გვარი	
სხვა გამოყენებული სახელები	
ასაკი	
სქესი	
დაბადების თარიღი (დღე/თვე/წელი)	
დაბადების ადგილი	
დამოკიდებულების ტიპი (შესაძლებელია რამდენიმე ვარიანტის არჩევა)	აირჩიეთ მიზეზი, რის გამოც ეს პირი თქვენს მხარდაჭერაზე დამოკიდებული ან რატომ ხართ თქვენ დამოკიდებული ამ პირის მხარდაჭერაზე: ორსულობა ახალშობილზე ზრუნვა მძიმე ფსიქიკური დაავადებით იტანჯება მძიმე ფიზიკური დაავადებით იტანჯება მძიმე ფორმის უნარშეზღუდულობა მძიმე ფსიქოლოგიური ტრავმა ხანდაზმული ასაკი სხვა (დააკონკრეტეთ):
მიმდინარე ადგილმდებარეობა EU+ ქვეყნებში (ქვეყანა, ქალაქი)	
პირის რეზიდენტობის სტატუსი EU+ ქვეყანაში	საერთაშორისო დაცვის განცხადების წარმდგენი საერთაშორისო დაცვის ბენეფიციარი ხანგრძლივი ბინადრობის უფლების მქონე რეზიდენტი მოქალაქე უცნობია
წარმოშობის ქვეყნიდან გამგზავრების თარიღი	
ეროვნება/ები	
პირადი ნომერი / საქმის ნომერი (თუ EU+ ქვეყანაში საიდენტიფიკაციო ნომერი ხელმისაწვდომია)	
მისამართი/საცხოვრებელი	
საკონტაქტო ინფორმაცია (ელექტრონული ფოსტის მისამართი, სოციალური მედიის ანგარიში, ტელეფონის ნომერი)	




<p><b>გაერთიანების სურვილი</b></p> <p>გსურთ ამ პირთან გაერთიანება?                  დიახ, მსურს გაერთიანება.  <b>ამ შემთხვევაში თქვენ და თქვენი ოჯახის წევრს მოგეთხოვებათ წერილობითი ფორმალური თანხმობის გაცემა. ფორმალური თანხმობა სხვა ფორმით იქნება მოთხოვნილი.</b>                  არა, არ მსურს გაერთიანება.                  თუ არ გსურთ გაერთიანება, შეგიძლიათ განმარტოთ მიზეზი. ეს ინფორმაცია კონფიდენციალურად დამუშავდება.</p>
<p><b>შესაბამისი ინფორმაცია პოტენციური მოწყვლადობების ან ჰუმანიტარული მიზეზების შესახებ</b></p> <p>აქ შეგიძლიათ მიუთითოთ ნებისმიერი შესაბამისი ინფორმაცია თქვენი ოჯახის წევრის შესახებ, რომლის ცოდნაც მნიშვნელოვანია ხელისუფლებისთვის (ნებისმიერი მოწყვლადობის მიზეზი, განსაკუთრებული საჭიროებები ან ჰუმანიტარული მიზეზები).</p>
<p><b>როდის და სად გქონდათ ბოლო კონტაქტი ამ პირთან?</b></p>
<p><b>არსებობს თუ არა სხვა პირი, რომელმაც შეიძლება იცოდეს თქვენი ოჯახის წევრის ადგილსამყოფელის შესახებ? თუ არსებობს, გთხოვთ მიუთითოთ მისი საკონტაქტო ინფორმაცია. დაუკავშირდით თუ არა ამ პირს?</b></p>
<p><b>დაუკავშირდით თუ არა რომელიმე ორგანიზაციას ამ პირის მოსაძებნად? თუ დაუკავშირდით, გთხოვთ მოგვაწოდოთ დეტალური ინფორმაცია (ორგანიზაციის დასახელება, კვალის მოძიების სტატუსი/შედეგი).</b></p>
<p><b>აღწერეთ თქვენს ხელთარსებული დოკუმენტები/მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს ნათესაურ კავშირს. მაგალითად, ქორწინების მოწმობა, დაბადების მოწმობა, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლი, ოჯახის წევრის ფოტოები და სხვა. თქვენ მოგეთხოვებათ ამ დოკუმენტების ან მტკიცებულებების წარდგენა.</b></p>
<p><b>სხვა რელევანტური ინფორმაცია</b></p>



## ნაწილი 5. გენეალოგიური ხე (არასაკვალდეგლო)

ქვემოთ მოცემულ ჩარჩოში შეგიძლიათ თქვენი გენეალოგიური ხე დახატოთ. მიუთითეთ თქვენი უახლოესი ოჯახის წევრები. თქვენი უახლოესი ოჯახის წევრები არიან თქვენი მეუღლე, შვილი ან შვილები, თქვენი მშობლები და და-ძმები. თუ შესაძლებელია, მიუთითეთ, ამჟამად რომელ ქვეყანაში ცხოვრობს თქვენი ოჯახის წევრი. თქვენი გენეალოგიური ხის მაგალითი ნაჩვენებია ქვემოთ მოცემულ სურათზე.



**ამ განყოფილებაში შეიყვანეთ ინფორმაცია ოჯახის ნებისმიერ დამატებით წევრთან დაკავშირებით**

